სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/142

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2022 წ

საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ხელმძღვანელის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საგანმათლებლო პროგრამის პროექტზე თანდართული მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №01-05-02/31 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელები- ასოცირებული პროფესორი ზაზა სოფრომაძე და მოწვეული ასოცირებული პროფესორი თინათინ გოგნაძე.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**